საქართველოს ეკონომიკის მდგრადობის ხარისხი და პროპორციული საარჩევნო სისტემით გამოწვეული რისკების პრევენცია

გიორგი ბიწაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ქვეყნის ეკონომიკის წინაშე მდგარი გამოწვევების გაანალიზებას, საქართველოსთვის მოუმზადებელი არათანმიმდევრული ნაბიჯები ნაცნობი მიდგომაა, მაგრამ შერეული საარჩევნო სისტემიდან სრულად პროპორციულზე პორტირება კიდევ ერთი დაუფიქრებელი და მოუმზადებელი ნაბიჯია, რომლის უარყოფითმა მხარემ შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანის მიაყენოს ქვეყნის ეკონომიკას.

საკვანძო სიტყვები: ბიუჯეტირება, ასიგნება, მოლოდინის ეფექტი, საწარმოო შესაძლებლობა, საბიუჯეტო კრიზისი;

DEGREE OF SUSTAINABILITY OF THE ECONOMY OF GEORGIA TO PREVENT THE RISKS CAUSED BY PROPORTIONAL ELECTORAL SYSTEM

Giorgi Bitsadze
PhD student of GTU

SUMMARY

The article is central to analyzing the challenges facing the country's economy, unprepared, inconsistent steps are a familiar approach for Georgia, but porting from a mixed electoral system to full proportional is another reckless and unprepared step, the negative side of which can cause irreparable damage to the country's economy.

Key words: Budgeting, Allocation, Expectation Effect, Production Possibility, Budget Crisis.

შესავალი

2024 წელი საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების წელია, ნახევრად მაჟორიტარული სისტემიდან სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა ქვეყნის ეკონომიკისათვის შესაძლოა რთულ გამოწვევად იქცეს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ არჩევნებიდან უმოკლეს ვადაში ვერ მოხერხდა მთავრობის დაკომპლექტება და მისი ფორმირების პროცესი დროში გაჭიანურდა. რატომ შეიძლება იქცეს პრობლემად სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემა საქართველოსთვის, მაშინ როდესაც განვითარებულ ქვეყნებში მსგავსი მეთოდი საყოველთაოდაა მიღებული? არც თუ ისე შორეულ წარსულში პროპორციული საარჩევნო სისტემის შედეგად ვერ დაკომპლექტდა ბელგიის მთავრობა და აღნიშნული პროცესი თითქმის 12 თვეს გაგრძელდა, ისევე როგორც ისრაელს ჰქონდა 24 თვიანი ჩავარდნა, ვერ დააკომპლექტებს მთავრობა და საქმე თითქმის რიგით მეხუთე არჩევნებამდე მივიდა. ორივე შემთხვევა ერთი საერთო მახასიათებლით გამოირჩეოდა, კერძოდ, ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობამ ადექვატური უკუკავშირი იქონია მათ წინაშე მდგარი გამოწვევებზე საპასუხოდ. კრიზისულ პერიოდში ამ ქვეყნების ეკონომიკის მდგრადი განვითარების საფუძველს საქართველოსაგან განსხვავებით წარმოადგენს დამოუკიდებელი ადგილობრივი თვითმართველობები საკუთარი ფინანსური შემოსულობებით, ეკონომიკით, მარეგულირებელი საკანონმდებლო მექანიზმებით, ინსტიტუციური გარემოთი და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების ლოკალურად მიღების შესაძლებლობებით.

ამდენად თემის ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის მდგრადობის გაანალიზება პროპორციული საარჩევნო სისტემაზე გადასვლით გამოწვეულ შესაძლო შოკური ეფექტების ადმინისტრირების პროცესისათვის.

ძირითადი ნაწილი

პოლიტიკური სტაბილურობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა, ვინაიდან ეკონომიკური ზრდის პარამეტრებს მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავს დადებითი მოლოდინების შექმნა. მოლოდინის ეფექტს ღია ეკონომიკის პირობებში ცენტრალური ნაწილი უჭირავს და პროპორციულადაა დამოკიდებული მასში ჯანსაღი ტენდეციების განვითარებასთან. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების დროიდან ვერ ახერხებს სტაბილური საგარეო და საშინაო პოლიტიკური ველის შექმნას და გადახრა სხვადასხვა პერიოდში ორივე მიმართულებით შესამჩნევია. საგარეო პოლიტიკის დასტაბილურება ოცნების ხელისუფლებამ შესაძლებელი გახადა, მაგრამ იგივეს თქმის შესაძლებლობას შიდა პოლიტიკური კონიუნქტურა არ იძლევა, რთულადაა

გასახსენებელი პერიოდი, როდესაც რომელიმე პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ქვეყნის ხსნა“ -ს არ დაგვპირდეს და ამისათვის მრავალ ათასიან აქციას არ უხმოს. ნაცვლად იმისა, რომ ბიზნესი კონცენტრირდეს საწარმოოო შესაძლებლობების საზღვრის გაფართოებაზე მათ უწევთ ადაპტირება მოსალოდნელი არეულობის ახალ ციკლზე და მის უარყოფით შედეგებთან.

2024 საქართველოს საკანომდებლო ორგანოს პროპორციული წესით არჩევის წელია, პროპორციული სისტემის არსი წვრილი პარტიებისა და პასიური ამომრჩევლის ხმების დაკარგვის საპრევენციოდ და მაჟორიტარული სისტემის საუკეთესო ალტერნატივად არის მოაზრებული საქართველოში, მიუხედავად იმისა რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ზოგადად მსოფლიოში მაჟორიტარული და შერეული სისტემას უპირატესობას თითქმის 90% ანიჭებს. საქართველოში განვითარებული პოლიტიკური პროცესები და პოლარიზაციის მაღალი დონე გარკვეულ კითხვებს აჩენს პროპორციული საარჩევნო სისტემის შესაძლო შედეგების და იმის შესახებ თუ რამდენადაა რეზისტენტული ქვეყანის ეკონომიკა მსგავსი გამოწვევების წინაშე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შესაძლებელ შედეგთაგან ერთ-ერთი, თუ პარლამენტში ვერ მოხერხდა რომელიმე პარტიისაგან უმრავლესობის მოპოვება და მთავრობის ფორმირება მრავალ პარტიულ პოლარიზებულ საზოგადოების წინაშე აღმოჩნდება, ალბათ, მოსალოდნელია პოლიტიკურად არათანმიმდევრული ნაბიჯების განხორციელება და მთავრობის ფორმირების გრძელვადიანი პროცესის დასაწყისი, როგორც ეს ისრაელსა და ბელგიის სამეფოში მოხდა. მაგრამ ამ ქვეყნებისაგან განსახვავებითო რა მარეგულირებელი მექანიზმები მოიძებნება საკანომდებლო მაცნეში კრიზისის წნეხის შესამსუბუქებლად იმ შემთხვევისათვის თუ ვერ დაკომპლექტდა მთავრობა და შესაბამისად, ვერ დამტკიცდა სახელმწიფო ბიუჯეტი ?

საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" იძლევა დაშვებას დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმართველობების ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, ბიუჯეტის დამტკიცებამდე სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მინისტრი ან მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმართველობების ბიუჯეტისათვის შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოები უფლება მოსილნი არიან მხარჯავ დაწესებულებაზე ყოველთვიურად გაიცეს თანხა არა უმეტეს გასული წლის ასიგნების1/12-ის ოდენობისა. გასული წლის ასიგნების პროპორციული ნორმა იგივეა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიცეს სამინისტროებში დასაქმებულთა ხელფასები და პენსიები, ხოლო ადგილობრივ თვითმართველობის დონეზე სახელფასო ფონდისათვის მეტ-ნაკლებად საკმარისი თანხა, მათ შორის მხარჯავი დაწესებულების ვერტიკალში მყოფი იურიდიული პირებისათვის. ამდენად ახალი მთავრობისა და წლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე არსებობს საფრთხე ქვეყანა ფუნქციურად დაიტვირთოს მხოლოდ და მხოლოდ საჯარო მოხელეების ხელფასების გასაცემად და სხვა ყველაფერი დაყოვნების სტადიაზე გადავიდეს, რამდენად შესძლებს საქართველოს ეკონომიკა შედარებით უმტკივნეულოდ გაიაროს ეს რთული პროცესი მსგავსად ისრაელისა და ბელგიის სამეფოსი, რთული საპროგნოზოა, ვინაიდან ადგილობრივი თვითმართველობების დონეზე არ არის კონცენტრირებული გადაწყვეტილების მიღების და ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობები. საქართველოში ცენტრალური ინსტიტუტის ირაციონალური ქმედება ვრცელდება სრულად ქვეყანაზე და არაა განსაზღვრული მექანიზმები კონცენტრირებული რისკის საპრევენციოდ.

დასკვნა

90-იანი წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის და მის შემდგომი პერიოდი მდიდარია არათანმიმდევრული და ქაოტური ეკონომიკური პოლიტიკითა და წარმოდგენებით. საბჭოთა კავშირის დაშლამდე ქართველი ხალხი ფიქრობდა, რომ ქვეყანის ეკონომიკური წარმატებისათვის საკმარისი, მხოლოდ ჭიათურის მადნის საბადო, ბორჯომი, ღვინო, ჩაი და მანდარინი იქნებოდა და არ გვმართებდა დაფიქრება იმის შესახებ თუ როგორ განვითარებულიყო ზემო ხსენებული დარგები, რასაც ქაოტური პოლიტიკა და ღრმა კრიზისი მოჰყვა. იგივე მიდგომა იყო დამახასიათებელი 2005-2006 წლებში საბიუჯეტო სისტემაში შესატანი ცვლილების მიმართ და მაშინდელი მინისტრის კახაბერ ბენდუქიძის რეფორმებმა აღფრთოვანება გამოიწვია იმ მოტივით, რომ კორუფცია დასრულდებოდა, იმ ეტაპზე განხორციელებულმა და ფუნდამენტალურ დონეზე გაუაზრებელი ნაბიჯებმა ვერ შეუქმნა მყარი საფუძველი საქართველოს ეკონომიკა, ისევე როგორც პროპორციულ სისტემაზე მოუმზადებელი პორტირებით ხელოვნურად ვზრდით რისკ ფაქტორს. სწორედ იმ პერიოდს უკავშირდება ადგილობრივი თვითმმართველობისათვის ეკონომიკური აქტივების განკარგვისა და საკუთარი ბიუჯეტის დამოუკიდებლობის ხარისხის უკიდურესად შევიწროების პროცესი. ცენტრალური ქცევის ანატომია ბუნებრივად ვრცელდება ყველა მუნიციპალიტეტის დონეზე მაღალი

ხარისხის დამოკიდებულების გათვალისწინებით და შესაბამისად რისკის ფაქტორი ვრცელდება ყველა ერთეულზე. პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლამდე აუცილებელი იყო მოგვეწესრიგებინა თვითმართველობების დამოუკიდებლობის და გადაწყვეტილების ადგილზე მიღების პრეცენდენტის კულტურა, ასეთ პირობებში ნებისმიერ უარყოფით ეკონომიკურ ზეგავლენას არ ექნებოდა ვერტიკალური ძალა და რისკის კონცენტრირების შემცირება გახდებოდა შესაძლებელი. ამდენად ისრაელის და ბელგიის სამეფოს მაგალითები მკაფიოდ უსვამენ ხაზს ადგილობრივი თვითმართველობების დამოუკიდებლობის მნიშვნელობას კრიზისული სიტუაციების მართვისათვის, რომელიც როგორც ჩანს სამაგალითოდ ვერ მივიღეთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ოლივიე ბლანშარი. მაკროეკონომიკა, ელ. ვერსია. თსუ, გამომცემლობა 2010 წ;
2. გრეგორი მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. გამომცემლობა დიოგენე 2008 წ;
3. პოლ ჰაინე. ეკონომიკური აზროვნება. თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტის გამომცემლობა 2012 წ;
4. საქართველოს კანონი „ საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ”
5. ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი
6. ლალი ცინცაძის სტატია ჯეოქეისი - პროპორციული საარჩევნო სისტემა - შესაძლებლობები და გამოწვევები 25/02/2020წ;